


9142322
საქართველოს
კულტურის
მინისტრის
მიერ განვითარებულ
ეროვნული მუზეუმი

სარჩის კაპაბაპი

ქადაგის დადება გიორგი ბრწყინ-
ვალის მიერ.



ტ ფ 0 3 0 6 0

ერეჭულო-მბეჭდავი ს. მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. საკუთ. სახ. №5.

1913

ძეგლის დადება, დაწერილი მთიულთათვის გიორგი ბრწყინ-
 ვალის დროს, წარმოადგენს, როგორც ცნობილია, ფრიად საუკრად-
 დებო იურიდიულ ძეგლს შე-XIV საუკუნისას. გიორგი ბრწყინვა-
 ლები საქართველოს ტახტი დაიპურა საბოლოოდ ჩემის გამოანგა-
 რიშებით 1316 წელს. და გარდაიცვალა 1339 წ. ან 1338 წლ.
 დასასრულს. როგორც ქსნის ერისთავთა ძეგლიდან სჩინს,
 გიორგი ბრწყინვალის მიერ მთიულების დამორჩილებას—ძეგლის
 დადება კი დაწერილია ამის შემდეგ—წინაუძღვდა გორის აღება.
 გორის გიორგი შეუე ბრძოლა სამ წელს *). ამასთანავე სახეში მისა-
 დებია ის გარემოება, რომ მთიულებთან ბრძოლაში მონაწილეობას
 დებულობს მეფის ძე დავით **), რომელიც მაშასადამე ამ დროს
 პატარა არ იქნებოდა. თვით გიორგი ბრწყინვალე დაიბადა 1286 წლ.
 ახლოს. ამის და მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ძეგლის დადე-
 ბა არ უნდა იყოს 1325 წელზედ უფრო აღრე დაწერილი, ის
 უნდა იყოს დახლოვებით 1325—1338 წლებში შედგენილი.

K 19.136
 3

*) ქრონიკ. II, 8.

**) იქვე, 9—10.

ქ. მეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ

ჩუენ მეფეთ მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ მეფის დიმიტრისამან, დავდევით ძეგლი ესე განაჩენი, მას უამსა ოდეს შევედით მთიულთა შიგან მოსავლელად ღრთის მოწყალებითა ყოვლგნით უცილებლად ქონებასა შინა სამეფოსა ჩუენისასა და უცილებლად პყრობად ტახტისა და სკიპტრისასა წარვედით ტახტით ჩუენით ქალაქით და შევედით სასახლესა ჩუენსა ჟინვანს და მუნით მივედით კადა ცხაოტს და მოვასხენით ყოველნი მუნებურნი კევის ბერნი და პეროვანნი და გავიგონეთ მათნი საქმენი. დავსხედით მათსა სასაქმოსა და მივედით დარიელამდის და ვსცანით ესე, რომელ ღრთივ გურიგუინოსანთა და სანატრელთა ჩუენთა ჩამომავალთა მეფეთაგან ამაღ არ გასჩენოდა ძეგლითა გაჩენითა და დადებითა სისხლისა და სხუათა მრავალთა უწესოთა მიმდლავრებულთა საქმეთა რომელნიმე საქმისა, რომლისათუის პრიანებოდათ აღზევით ყოფა ერთმანეთსა შიგან და რომელთამე სხვის ე. მისა შემოსრულობისათუის უკუე ყოფა გაჩენა ვერ სწრებოდეს და სრულად მთიულთა მოკლებასა და გაჩენასა და ჟამ გვცეს მოწყალებითა ღრთისათა. დარეალით მობრუნებულთა ვილოცეთ ლომისის მთავარ მოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმის კევი და მოვიკლევით მუნებური სასაქმე, მოვედით მუხრანს საზამთროსა ჩუენსა და დავდეგით და შემოვედით ქალაქსა და შემოვიტანეთ თემისა და თემისა ერისთავნი და კუვის თავნი და კევის ბერნი და პეროვანნი და დავსხედით. დავსვით წმიდა მეუფე და ქართლისა კზი ეფთვიმი და დავსხით ვაზირნი და ეპისკოპოსნი და მოურავნი და გავიგონეთ, რომელ დიდი უსამართლო და მმღავრებულობა ქმნილ იყო ერთმანერთსა ზედა და სისხლის მსუბუ-



ქობისათუის ადვილ ჩნდა ჩუენდა ერთმანერთის ლალატატ-ტაშუაშუა
ხმა და დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა და
უპრალოდ დაგდება და მრავალფერნი ულუსობა და ყოველი-
ვე სამართალი აღარ იყო და და დღეისით წინათლა ერთმანერ-
თის საყოფთა საქმეთა აზად აღარ შემოვიდეთ, ერთმანერთის
ამოსვლა არ იქნებოდა, განაჩენ დაუდებლობა ექმნათ და აშ-
ყუელა გავაჩინეთ, რა რიგად ვის რა ეყოს, ერთმანერთის ავი
სისხლი დგეს, ანუ სხუა სასაქმო რაგინდარა იყოს, გარდახ-
დეს ჯუართა ყელს ძექთ, კადა ცხაოტს, ზანდუკის კევს კიბეთ
ქუეშეთ და მენებოს ზემოთ ეს განაჩენი დავდევით, / სასჯუ-
ლო საქმე და საეკკლესიო რისაც გინდა სასაქმოსა კაცის
მკრლელთა, ეკკლესიის მკრებუელთა, ცოლის დამგდებელთა
უბრალოსათა, ანუ წამგურელთა სხუათაგან. სხუა რაც სასჯუ-
ლო საკითხავი იყოს, იგი კუმან და მათ განაჩენთა შათ ზედა
ეპისკოპოსთა მათ ჰეკითხონ. / ჩუენ მსოფლიოსა ამისი სისხლი,
პატივი და სასაქმო გაგუიჩენია. დღეისითგან წალმა ესრეო იქმნას.

ა. ერისთვის სიკუდილი ვით აროდეს კადრებულა, აგრე
ნუმცა ვისგან იკადრების და თუ ვის დართი შერისხდეს და
შეცოდება აზომ დიდი დაემართოს და მოკლას ერისთავი,
ვითა უმსგავსო არის და უსაზომო შეცოდება, აგრევე დამე-
ტებული დიდი პატივი და გარდახდევინება დარბაზით ეკით-
ხოს, გარდახუეწა, მამულის წალება და სისხლი მისი გუარსა
ზედა დაიურვოს და გარდაიხუეწოს / და მამულისა რაზო
წლიამდის დაიჭირვის, ამად არ გავიჩინეთ, რომე უსაზომო იყო
და არაოდეს ქმნილიყო და არცა ჩუენ წესადვე ვდებდით და თუ
რამდე იქმნას, მის ეამის მეფემან იკითხოს, რაფამცა უფრო
ძნელად იკითხებოდეს.

ბ. განმგებელი თუ ქუეყანამ მოკლას, ერთმან სოფელ-
მან, განა ერთმან პირმან, კევმან, მსახურ იყოს განმგებელად,
ექუსი ათასი თეთრი დაიურვოს სისხლთა ფასით და თუითო
კაცი დაიპიროს სოფლისა და თავადი და რაზდენიცა
კაცი იყოს თავადი, თუითო გაიპარსოს და რაზომიც სოფე-





ლი იყოს, ერთი ორი და რაზომიც გინდეს იყოს განმგებელი ლისა რთოდეს, ვითა ძუელითან გაჩენილი არის, თუკითო ცხენი ბეგრად დაედუას წელიწადსა შიგან გამოსაყუანელად სასეფეოდ და საუკუნოდ.

გ. და თუ ერთს კაცს ეფათერაკოს განმგებელი კაცი, გაიპატივოს და მამულისაგან გაიძიოს და შეუნდობლად მამული სასეფეოდ დადგას. და თუ სისხლის დაურვება არა შეეძლოს ანუ მამული ებოძოს მის კაცისა სისხლის მექნელისა დარბაზით, ანუ განმგებელის სახლს მეფისაგან სისხლი ებოძოს და მამული სასეფეოდ დაიდგას.

დ. და თუ აზნაურშვილი იყოს განმგებელად, მოკლან, მის გუარსა ზედან დაიურვონ სისხლი.

ე. და თუ კევის ბერმან მოკლას გამგებელი, სამს წლამდის მამულისაგან გაიძოს და ციხე და მამული სასეფეოდ დაიდგას. ერისთავმან თავიანთი სახლნი დაუწინდნენ. მესამეს წელიწადს მოვიდეს და ერისთავს შემოეხვეწოს. ერისთავმან ვეზირით დარბაზთ ჰკადროს და დარბაზით მამული ებოძოს კევის ბერსა. და ამას ზემოთ გაჩენილი სისხლი დაეურვოს განმგებელის სისხლად და კევის ბერობაც წაელოს და თუ მის კევის ბერის ვვარის კაცი იყოს, ასეთი რომ განმგებელის სიკუდილს არ დახვედრიყოს და არას ერიოს არა ცხადაუ და არა იღუმალ, თვით მას ებოძოს კევის ბერობა დარბაზით და თუ არვინ იყოს მისი სახლის კაცი, ვანც ერისთავმან და ახალმან განმგებელმან გამოარჩიონ ერთი კაცი, მეფის ერთგული იყოს და კევეყნასაც უჯობდეს, იგი დააყენონ დარბაზით კევის ბერად.

გ. კევის ბერთა ასე გავაჩინეთ: კევის ბერი თუ მოკლას კევის ბერმან, სამს წელიწადს მამულისაგან გაიძიოს, ერისთავისა და განმგებელისაგან თავითი სახლი დაეწინდნენ, მამული სამს წელიწადსმდის სასეფეოდ დაეჭიროს. მესამეს წელიწადს ერისთავსა და განმგებელს შემოეხვეწონ და მათ ვეზირით დარბაზი, მოახსენონ და მამული კელთ უბოძონ და სისხლ-

თა ფასი ექვსი ათასი თეთრი დაუურვოს.

¶. თუ ვინ პევის ბერის კაცის გაუყოფარი მის სახლსა შიგან მოახლე ერთ სახლის კაცთ მოკლან მამა ბიძა, ძმა ბიძა, ძე ძმისწული რაგინდარა მისის გუარისა მისი მოახლე, ესევ ექვსი ათასი თეთრი იყოს, მამულისაგან გაძება ორს წელიწადს და თავათნი სახლნი დაეწვნეს ერისთვისა და ვამგებელისაგან და იმავე ჭემოთ განაჩენით ერისთვისა და გამგებელისაგან დარბაზთ ეურვოს ვეზირთა და მოურავთა პირითა, მამული ებოძოს.

~ ს. და თუ ქვეყანამ მოკლას პევის ბერი, გამგებელის სიკუდილის სწორი პატივი, ბეგარი და სისხლი დაეურვოს და დაედვას ბეგარა საუკუნოდ.

თ. და თუ პევის ბერის განაყოფი და მისი გუარის კაცი მოკლას ვინმე თუ ძმაც იყოს ანუ სხვა რაგინდარა მეუკისი იყოს, პევის ბერის მუახლე იყოს განყოფით, განაყოფისა კაცისათვის სამი ათასი თეთრი სისხლის ფასად მისცეს და ორს წელიწადს განეძოს და მამული სასეფეოდ დაედვას. ორს წელიწადს უკან იურვოს ლერისთვისა და გამგებლის პირითა იმავე ვეზირთა საურავითა და წესითა დარბაზისათა, მაშინდა მამული ებოძოს.

10 ი. პევის ბერის მეუკისისა და მისის მოახლის სისხლისა და მისის განაყოფისა სისხლი, ასეთისა რომე არა ეახლოს, ამად არად სწორად დავადევოთ, ამიტომ რომე პევის ბერს დარბაზით ლაშქართ თავადობა პბოძებია და იგინი მისნი მოახლენი იქნებიან და საბატიონი და მისნი მოახლენიცა, ამად რომე დარბაზით დაყენებულს პევის ბერს ახლავან, თვარა განაყოფი არიან, მის განაყოფს პევის ბერის მუახლის სისხლის სწორი არ მირთებს, ამად მისი სისხლი გაუნახევრეთ.

11 ია. პეროვანთა ასე გავიჩინეთ. ვინც პეროვანი კაცი მოკლას პეროვანმანვე კაცმან, სამს წლამდის გარდაიხვეწოს და სისხლი ორასი დრაპკანი დაეურვოს, ათას ორასი თეთრი და მამული სასეფეოდ დაედვას და თუ დარბაზისა ცნობისა ლირა



სი იყოს იგი ჰეროვანი, თვით იმავე ზემოთ განაჩენის დღის ბაზს იკითხონ ერისთავმან და განმგებელმან და აგრევე უბოძონ მამული და თუ დარბაზს არ ლირს იყოს ცნობასა, თუ ითერისთავმან და განმგებელმან შეუშვან და მისცენ მამული.

იბ. თუ კევის ბერმან მოკლას ჰეროვანი მამულის ნდომისათუის, ერთს წელიწადს მამულისაგან განიძოს და თუ ის-რე იფათერაკოს. დაიურვოს ისრე, ვით ზემო გაგვიჩნია.

იგ. ციხის თავნი ორნი იყვნეს. კადას წესი ასრე არის, რომ კადელთ თუ ვინ მოკლას ციხის თავი, კევის ბერმან ანუ სხუამ ვინმე, ესრეთ რომ ციხის თავიდ იდგეს ბრძანებით და არა გადადგომილ იყოს, სამს წელიწადს მამულისაგან განიძოს და მამული სასეფეოდ დაეჭიროს და სამი ათას ხუთასი თეთრი სისხლად დაეურვოს, სამს წელიწადს უკან შემოუშვას და მამული ებოძოს იმ ზემოთ წესითა და განაჩენითა.

იდ. თუ უციხისთაო კადელი კაცი მოკლას ვინმე, თუ ციხის თავადაც დგომილ იყოს, დაეგდოს და აღარ იყოს ციხის იავად, ჰეროვანის სისხლი დაეურვოს და მამულისაგან განიძოს ეზოშა ხანსა, ვითა ზემოთ ჰეროვნისათვის გაგვიჩნია. იმავ წესით შემოუშვას და თუ ციხისთავის ძმა ანუ შვილი ვინმე მოკლას, ჰეროვნის სისხლით დაიურვონ.

იე. დედმამათა სიკუდილი შვილისაგან უწესო არის და ღმერთმან ნუ აყოფინოს ამის კადრება და თუ ვის ღრთი შერისხდეს და დაემართოს რაც უარესია, ყველას დამართება და ყოფა, პირიანი გაპატიჯება, გაძება შეუნდობლად, შემოუშვებლობა, აღმოფხვრა და აღმოშევეტა. სისხლი გაჩენით ამად არ შევამკვეთეთ, უსახო და უმსგავსო იყო და უწესო, სხვათაგან სასახოდ დაიდებოდა და არცა ესე წესია, რომე დედმამათა სიკუდილისათვის რარიგადრა სააო დაუძონს შვილთა კაცმან, და რაზომიცა კაცი შვილთა თანა აღგეს მამა დედათა სიკუდილს, იგიცა ამავე პატივითა იკითხოს და სისხლი ამად არ გავაჩის.



ნეთ ამავე ჩუენთა უამთა შინა არა ქნილა და ლარ წილადუცა
აყოფინოს.

ეჭ. თუ მამა დაუბერდეს და შვილი მოსწიფოდეს და მა-
მას ბატონის საშსახული არ შეეძლოს, უპრიანია ერთგან
ყოფნა და თუ რადმე ვერ იქნებოდენ და ნასყიდი ეყოფოდეს,
მამამ ნასყიდი დაიჭიროს და შვილი მამულით გვემსახუროს
და თუ მამას ნასყიდი არ ეყოფოდეს, მამულისაგანც დაიზია-
როს და შვილთან ნების მყოფელი იყოს, ნასყიდიც შვილს
დაუგდოს და თუ ნების მყოფელი არ იყოს, ნასყიდში არა
ჰყლი აქუს შვილსა. თუ უნდა მამა გაჰყიდის და თუ უნდა
მონასყიდე შეიტანს. რასაც უზამს, მამამ იცის. შვილი ნასყიდს
ვერ ეცილოს.

ეჭ. ვისაც ღრთი შერისხდეს და ძმამ ძმა მოკლას, იგი
მკულელი ათს წელიწადს მამულიდამ გაიძოს და მამული სა-
გამგებელს შემოეხვეშოს. მათ ვეზირთ მოახსენონ, ვეზირთ
დარბაზს ჰკადრონ და ესეთი შემოუშვან. რასაც რამ გვარი
იყოს, იმ წესით სისხლი დაეურვოს და მამული ებოძოს და
თუ მის მოკლულის კაცის შვილი არ დარჩეს, არც მისი
მოახლე გაუყოფელი, მან ძმამ მის ძმის სისხლისათუის ნახევა-
რი მამული მისის სულისათუის წააგოს და ნახევარი სასეფე-
ოდ დაედვას და იგი ნახევარი სისხლი მისის სულისათუის
გაჩენილი, მის მიეცეს, ვინც მისი მეყვისა დარჩეს სულისათ-
უის სასაუროთ და თუ არვინ დარჩეს, ერისთავმან და გამგე-
ბელმან წაუგოს მის ქვეყანისთა ხუცესთა და კათა კელითა.

ეს. და თუ ოთხნი ხუთნი ძმანი იყუნენ და რაზომცა
გაყოფით იყუნენ, მოახლემ აიღოს და მოაქმაროს მისსა სულ-
სა და თუ ამ მოკლულის კაცის ცოლი დარჩეს და არ გათ-
ხოვდებოდეს, მის მოკლულის კაცის სისხლისაგან სასაპყრო
მიეცეს ძალისა მსგავსად და თუ დარბაზის ცნობას ღირს
იყუნენ, დარბაზს იყითხონ და უარბაზით გაეჩინოს და თუ
არ ღირს იყუნენ, ერისთავმან და განმგებელმან გაუჩინოს და
სისხლისაგანც მიეცეს და ათისაგანც ერთი.

თ. სალაშქრო საქმე ასე გავაჩინეთ: რომელიც ჭუება-
ნა და ოემი აწვივნეს ბრძანებითა ერისთავმან და განმგებელ-
მან და უამიერად არ გამოვიდნენ, ჭუებანამან თუ სოფელმან
და ანუ ერთმან კაცმან და რაზომცა და კაცმან დააკლოს
ლაშქრობა, ერთს წელიწადს არ შეენდოს და მამული დაეჭი-
როს სასეფეოდ და ოუითო კარი წაეგვაროს სასეფეოდ და
მეორეს წელიწადს მამული ისევ ებოძოს ერისთვისა და გამ-
გებელისაგან საურავითა, ესე ჰეროვნისა და მსოფლიონისა
იყოს და ოუ პევის ბერმან დააკლოს და არ გაპყვეს, პევის
ბერმან და მამული წაელოს და ერთს წელიწადს უკან მამუ-
ლი ისევ ებოძოს, თუ ნამსახური იყოს და სხვა არა შეეცო-
დოს რა.

პ. პევის ბერი თუ უგემურად იყოს ლაშქრობის უამს,
მისი ძმა და მოახლე კაცი წავიდეს და პევის ბერს შეეხდოს
ლაშქარს წაუსვლელობა.

ჭ. კაცმან თუ ცოლი დააგდოს უბრალოდ და მისი შეუ-
ცოდარი იყოს დაგაეყაროს, ესეთსა ნახევარი სისხლი დაუურ-
ვოს მის დრაცის გუარსა ზედა.

ჭ. კაცმან თუ კაცა ცოლი წაართუას, იგი ცოლწა-
გურილი კაცი რასაც ვის ემტეროს ერთს წლამდის, ღაწუასა,
მოტაცებასა, დარბევასა, არა მიუფასოს, რა რიგად წაულოს
სისხლის ქნისაგან მეტი და ერთს წელიწადს უკან რას ემტე-
რების, იგიც მიეფერების, ნახევარ სისხლის დაურვება მარ-
თებს მათს გუარსა ზედა ცოლის წაგურისათუის და სისხლი-
სა მიეფასების. რასაც მოპერავს მტერობასა შიგან, ერთს
წლამდის სისხლი არაოდეს გაუცუდდების თუინიერ დამსხმე-
ლისა, ისე რომე ჭუემო გაგუიჩენია.

ჭ. კაცმან თუ გუირგუინ ნაკურთხი ცოლი წაპგუაროს,
თუ არა შეპყროდეს, ნახევარის სისხლით დაიურვოს მათს
გუართა ზედა.

ჭ. კაცმან თუ ჯუარ გაცულილი ცოლი წაპგუაროს,
სისხლის მეექუსედი დაიურვოს მათსა გუარსა ზედა.



ქ. ვინც ცოლი უბრალოდ დააგდოს უა გამოჩენდეს, რომე არა შეეცოდოს რა, ესეთს უბრალოს გაჰყროდეს, სისხლის ნახევარი დაიურვოს მისის სისხლის წესსა ზედა.

ქ. კაცმან თუ კაცს ცოლი წაპვუაროს, იგი ცოლ წაგურილი კაცი რასაც ემტეროს, ზემოთ გაჩენილია და თუ დაესხას, ასეთი რომე არც შეზავებულ იყუნენ, არც დანდობილ იყუნენ, არც სისხლი აღებულ იყოს, დამსხმელი არ იქნების, არც მოიკულის, სისხლი ორთავე მკვებველად მივიდეს და შემოებას და ესეთი მოკლან და წირვისა კათალიკოზმან და ეპისკოპოსთ გაუჩინონ და თუ დიაცი მეომრიად იყოს და აბჯარი ჰქონდეს და მოკუდეს, გაუცუდდეს მის ღიაცის სისხლი და თუ უბრალო მოკლან, ორი სისხლი დაიურვონ დიაცისათუის და გერში ყუელასი სწორე არს, მონოზონთა, ხუცესთა, მწირუელისა და დიაცისა და თუ არა მწირუელია, არ შემოვა ორ სისხლად და სისხლიც სწორეა, მონოზონთა, მწირუელთა, ხუცესთა და დედათა ორკეცი სისხლი არს. უბრალოდ დაემართოს და მოკუდეს, ანუ დაიკოდონ, მისის გუარის წესით დაიურვოს. შუად მონაზონი ანუ მწირუელი ხუცესი ანუ დიაცი მივიდეს, ესრეთ რომ აბჯარი არა ჰქონდეს და ასეთი მოკლან. ვინც მოკლას, ორკეცი სისხლი დაიურვოს მისსა გუარსა ზედა.

ქ. დარბაზით უბრძანებლად ვისცა ციხე დაუქციონ ანუ კევის ბერმან, კაცმან ანუ ქუეყანამან ქუეყანასა ანუ სწორმან სწორსა და ვინ გინდა ვის დაექციოს და იმათის მტერობისათუის დაქცეოდეს და ამათ შუა სხუა რაც სასაქმო იყოს, ვითა გაგუიჩენია, აგრე გარდასწყდეს და ციხის დაქცევისათუის დაიურვონ ნახევარი სისხლი, რასაც გუარისა არის და რასაც გუარის ციხის ჰატრონი იყოს, მისსა გუარსა ზედა ციხე აგრევე ააგოს დამქცეველმან და თუ ბძანება ჰქონდეს და ბძანებით დაექციოს და თავით გარდავდეს, არას ემართლებიან.

ქ. ბეითალმანად რაც ჰარტახტი მამული დარჩეს, რომე



მემამულე აღარ მიაჩნდეს, თუ მისის გუარის კაცი გამოჩელება
ნენ ერთ გუარნი და რომელნი მეუფროსნი, მეყვისნი და
და მოსამართლენი იყუნენ ჭირსა და ლხინსა, უფრო თან
მდგომნი ყაფილიყუნენ, მათ ებოძოს, ასე რომე საჯარო, სა-
ლაშქრო და საბეგრო არ დააკლდეს ქუეყანასა და თუ მათის
გუარისა დარა დარჩეს რა კაცი, ამავე საჯარო ბევრა სა-
ლაშქროთ ვინდა შეიწყნაროს და ლირს იყუნენ ბოძებათა,
დარბაზით ებოძოს და თუ დარბაზით მისისა ბოძებისა ულირ-
სი იყოს, ერისთავმან და გამგებელმან მისცენ, აგრევე მო-
ბეგრედ და მოსამსახურედ იყუნება.

ჭთ. დამსხმელისა ასე გავაჩინეთ: კაცს ვისმე სხუას კაც-
თანა საქმე ედვას და მივიდეს იგი მოსაქმე კაცი და მას კაცს
სამართალი სახოოს და არ გამოჰყეს და მერმე მოვიდეს
იგი კაცი და გამგებელს ეუბნოს: ამ კაცთან სამართალი მეც
გთხოვ და არ გამომყავა. ეს საქმე ერისთავს მოაჯენონ გამ-
გებელმან და მან კაცზან ორჯელ სამჯერ გამოიწიოს სამარ-
თალსა. თუ არ გამოჰყუებოდეს, არც ერისთვის სიტყვითა,
არც გამგებელისათა და შოშმობდენ მართლად, უთნევად და
უქრთამოდ, თუ სამჯერ სამართალი ითხოვა და არ გამოჰ-
ყოლოდეს, ისეთი კაცი თუ კაცს დაესხას, რაც რომლისა
მოკუდეს ან და იკადროს, სისხლი და გერში ორთავე სწორია
ზედა დამსხმელისა და შინა მყოფისა, ამისთვის რომ სამარ-
თალს სამჯერ აწვია და არ გამოჰყავა. ერისთავი და გამგებე-
ლი მოშობენ, მათი კაცი მოსრულა და არ გამოჰყოლია სა-
სამართლოდ, ამისთუის დამსხმელისა და შინ მყოფისა სისხლი
გასწორდების თავისა გუარსა ზედა, რასაც გუარის კაცი
იყუნენ. ესეთი კაცი კაცს დაესხას, რომე საქმესა დარბაზისა-
სა იმეზეზებდეს უკანის და პირველ ერისთვისა და გამგებ-
ლის სიტყვით და მოშობით სამჯერ სამართალს ეწვიოს და
ესეთს უბრალოსა ზედა დაესხას, დამსხმელისა სისხლი არ არ-
ის, რაზომიცა მოკუდეს, ყუელა გაცუდდების | და მას კაცა
და ქუეყანას, რომელსაც ზედ დაესხმის, ყუელის სისხლი



მართალია, რაზომიც უბრალია, დამსხმელშან კაცმან მოფლას უუელა დაიურვოს თავის გუარსა ზედა.

ღ. თუ კაცსა ცოლი წაჰვეროს და ანუ მოკლას, რა უბრალო ასეთი და იგი კაცი დაესხას ზედა მის მამკულელი-სასა და ცოლის წაგურის დასხმისათუის, დამსხმელი არა ჰქვი-ან. მამულისა ანუ სხუისა რისამე ესე არის: ვისიც თორმეტი ათასი თეთრი სისხლის ფასი, მას ერთი უარზანგობა სამისი თეთრი არის, აზნაურთა კევის ბერთა ასორმოცდა ათი თეთ-რი არის ერთი უარზანგობა.

ღა. ჰეროვანთა ოცდაათი თეთრი და ამ წესით გაგუიჩ-ნია: ვისიც სისხლი უფროსი იყოს ანუ უმცრო, უარზანგო-პაც ამ გაჩენით იყოს.

ღბ. გერშის საქმე ასრე იქნას. ვისცა პირსა ზედა გერ-ში აჩნდეს სადაღედ და ანუ ცხვირნი მოეკუეთნეს, სისხლის მეხუთედი დაეურვოს. რასაც გუარის კაცი იყოს, თუ გერში სად საჩინოდ იყოს; ასრე რომე არ დაშავდებოდეს და დააჩნ-დეს, სამი უარზანგობა დაეურვოს და დატაქართა წამლის ფასი.

ღგ. ასოთ საქმე ასე გავაჩინეთ. მარჯუენა პელი ვისაც მოეკუეთოს ანუ დაუშავდეს დაკოდილობითა, სისხლის მესა-მედით დაიურვოს.

ღდ. კაცი თუ ლაყოჩა იყოს და მარცხენას კელს მარჯუ-ენად იხმარებდეს, მარჯუენის კელის სისხლი დაეურვოს.

ღე. კაცს თუ თუალი წამოვარდეს ანუ ფეჭი დაუშავდეს ანუ მოეკუეთოს, სისხლის მეოთხედი დაეურვოს.

ღვ. ერთს ომში ერთს კაცს ორივ კელი დაუშავდეს, ანუ ფეჭი, გინა თუალნი წალკდეს, სისხლის ნახევარი დაე-ურვოს მისსა გუარსა ზედა და დასტაქართა წამლის ფასი, რაც გასლოდეს და თუ თუითოს ომსა შიგან თუითო დაუშავ-დეს და არ ერთგან ორი, ისრევე ქნას, ვითა ზემო გავვიჩნია-

ღზ. კაცმან თუ კაცს ცერი მოჰკუეთოს ანუ დაუშავ-დეს, პელის განაჩენითა ნახევრის სისხლით დაიურვოს. პელის



მარჯუენა იყოს თუ მარცხენა მისის განაჩენით და სხუჭარების
მელიც თითო მოკუეთოს და ანუ დაუშავდეს, კელის მესამე-
დი სისხლი დაუურვოს.

ღმ. სადაც კაცი დაიკოდოს, ასრე რომე არა ჩნდეს
ტანისამოსისაგან, არცა რა დაუშავდეს თუითოს დაკოდილო-
ბისათუის, თუითო უზანგობით დაიურვოს თავის გუარსა ზედა
და დასტაქარსა წამლის ფასი, რაც გასლოდეს, ისიც მისცეს.

ღთ. კაცმან თუ კაცს კბილი ჩაგდებინოს, ოთხთა ზე-
მოთ წინათ, ოთხთა ქვემოთ, საჩინოთა კბილთა ჩაყრევინები-
სათუის თუითოს კბილისათუის ოროლი უზანგობა დაიურვო
თავის წესსა და გუარსა ზედა.

მ. ამ ოთხთა კბილთა იქით სხუათა უჩინართა ჩაყრევინები-
სათუის თუითოს კბილისათუის თუითო უზანგობა დაიურვოს.

მა. ვისაც ასაბია იახლოს და მოკუდეს ანუ დაიკოდოს,
მის მამკულელის კაცისაგან არც სისხლი დაეურვოს და არც
გერში მიეცეს და ვისიც ასაბია ყოფილა, მათი საქმე ასრე
იქნას: თუ მათ შეა ამისი პირი იდუას, რომ ერთმანერთის
ასაბიანი იყუნენ და დაიკოცებოდენ, ულირდეს სიკუდილი და
გაუყრელობა, თუით მათ იციან, შესწორებული საქმე არის და
თუ რადმე გაიყრებოდენ და მოყუარენი იღარ იყუნენ მის
მომკუდრის კაცის სისხლისათუის, თუ მის ასაბიათ წამყუანელის
კაცის სისხლის კაცი პირველ არ მომკუდარიყოს და ესრეთ
ესაბიოს, სისხლის დაურევება მის გუარსა ზედა და მას რბევა-
სა შიგან ოდეს იგი მოასაბე მომკუდარი იყოს, მისის სისხლის
კაცთა მისთა ყმათა სანივთოსა ეშვინოსთ, ასეთი რომ კარგი
იყოს, რად სისხლთა შიგან მიეფასოს. ამისთუის მას სისხლსა
დააურვებს და ვინც მორბეულა, მას უზღავს და თუ სანივთო
არ იყოს, ნურა მიეფასების რა.

მბ. ლომისისა ვინც გლეხი მოკლას, თუ მეფეთაგან
შეწირულია, გინა სხუათა ვისგანმე, ათას ხუთასი თეთრი დაე-
ურვოს. თუით ძუელითგან გაჩენილი არის ლომისის სამძლუარ-



სა ზედა, ამიერი კადა ცეაორს მიმდგომი არის და გაჩენით იყოს.

— მგ. ამიერნი კევის ბერნი და ჰეროვანნი იმიერთ ნუ ოდეს ნუ მიუდგებიან ნურცა სალაშქროდ, ნურცა სასაურვოდ ისაქ-მებენ ერთმანერთთანა თავის თავისასა საერისთოსაგან კიდე და რომელიც მიუდგეს, რომელიც თუ უნდა იმიერი ამიერსა, და ანუ ამიერი იმიერსა, დარბაზით მამული წაეღოსთ და ციხე დაექციოს.

— მდ. სამეკობროს საქმე ასე გავაჩინეთ, რომე ვინცა ვინ მოიპაროს ცხენი, ცხვარი, ძროხა ანუ სასაქონლო რამე, ანუ სახლი გატეხონ და წაიღონ რამე და უკან წაუდგენ და მიეწივნენ მეკობრენი, შემოებნენ და მეკობრე რაზომიცა მოკლან, სისხლი გაუცუდდეს ყუელასი და ნაპარევისათუის ერთი თუით იგი თავადი დაუურვონ და ორი სხუა, თავითურთ სამი შეიქნას და საქონლის პატრონი თუ მოკლას ანუ მისი მოახლე უკან მდევარი, რაზომიცა მოკუდენ, სისხლი სრული დაუურვონ და ნაპარევი ყუელა ამ განაჩენით იზღუეოდეს, ერთი რაც წაკდენოდეს, ორი სხუა.

— მე. კაცსა რომ მოეპაროს ვისგან რამე და მას უაშეს ვერა შეიგნონ რა და უკანის შეამცნიონ ნაპარევი და გამოჩნდეს მართლად, მივიღნენ და სთხოონ, ქუეყანა იყოს მეკობრე თუ ერთი კაცი და როდისაც მივიდეს საქონლის პატრონი და სთხოოს, იგი უმართლე არის და მისცემენ იმ ზემოთის განაჩენითა. კარგად გარდაუხადოს და თუ არ მისცენ, გამგებელსა და მის ქუეყნის კევის ბერს აცნობონ, მათ უთხრან და დააურვებინონ ამავე განაჩენითა და თუ არც ამის სიტყუით გამოერთვას და ეთხოოს ორჯელ სამჯერ, სადა ახლოს ერისთავი იყოს, მასმცა აცნობოს და თუ არც მან დაუურვებინოს, ეს საქონლის პატრონი ზედ დაესხას მას მეკობრესა, დამსხმელი არა ჭიქუიან, არც პირით მეკობრეთ ანუ მისთა ასაბითა და შემომბმელთა მეკობრესთან მოკუდეს, სისხლი ნუ ეზღუევის მათი და რაზომიც საქონლის პატრონისა მოკუდეს, ყუელასი სისხლი დაიურვონ, ამიტომ რომე მეკობრეთ

დაუთხოვნია. გამგებელი და კევის ბერნი მოწმობენ, არ შომ-
ცემია ორჯელ სამჯერ. ამისთვის მათი სისხლი გაცუდდების.

მგ. ვალის საქმე ასრე გავაჩინეთ: სარგებელი არც ქარ-
თველთ სჯულთა სძესთ წესად რომე აიღონ და არც სხუათა
სჯულთა უწერია და სარგებელი არის უწესო და თუ რადმე
მიმცემი კაცი ასრე ავი იყოს, რომე სარგებელი აიღოს რა-
გინდარა ხანი გამოსულიყოს, ათსა თეთრსა ზედან ორი თეთ-
რი მიეცეს. რაზომი დიდი ხანი დაეყოს, ამის მეტს ნურას
მისცემს და არც სამართალია მისაცემლად და თუ დია რათ-
მე ავი კაცი არ არის, არც ამისი აღ ება მართებს. სამართალი
ესრეთ ყონ ყოველთა.

